

# ფროგა

რედაქცია: სოლოლ კვ., ბ. ლის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეში მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა— 8 მ., ნახევარ წლისა— 5 მ., ხანისთვის— 3 მ., ერთისთვის— 1 მ.

საღკვე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განსხვავებისა; დღეობით ასოზე 1 კაპ., წყვეთად 10 კაპ., წერილით— 5 მ., პატარათი— 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწავლოს და შეათავსოს და სხვებთან განსხვავებული სტატეი. დაუბეჭდელი სტატეი ავტორს დაუბრუნდება. საღკვე ნომერი ღირს შაურად.

უკვე აღე მოგაბათს ვარდა

## განცხადება

მოთხაბათს, 1 გიორგოპისთვის

მართული ტრუბისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

### „უური“

ღრამა სამ მოქმედებათ

### II

## „ბნელ მოთახში“

მოღვეილი ერთ მოქმედებათ

ანტრაქტიში უფ. კ მისი წაიკითხავს იმერულ სცენაზე.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში. და აზნაუროვის მალაზიაში, ბოლოვინის პროსპექტზე.

ღაწყობა 7 1/2 საათზე.

ორი თვის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბალის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газ. „Дროება“.

ფასი ორი თვის გაზეთისა, ე. ი. 1- ნოემბრიდან წლის დამოღვეამდინ, გაზეზავნით—ორი მანეთი.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კაპიტაბურლი, 1 ნოემბერს. მმართველობის მოამბეში დაბეჭდილია შმალლესი ბრძანება, რომლის ძალითაც სავაჟო ოთხ-კლასიანი პროგიმნაზიები უნდა გადაკეთდნენ ექვს-კლასიან პროგიმნაზიებად.

უფ. იაკობ ბერტელო ცნობილია საფრანგეთის კონსულად ქალაქს შოთში.

კაპიტაბურლი, 31 ნოემბერს. აქ იწვის ამ ქაშად სახაზ-ნო ალექსანდროვის ზარბ.ზნის ქარხანა.

მენა, 31 ნოემბერს. ამბობენ, რომ ამ მოკლე ხანში სერბია, ჩერნოგორია და ბოლგარია შეეკრენ ერთმანეთში ერთადმოქმედების პირობის კავშირსაო.

სტამბოლი, 29 ნოემბერს. მინისტრმა სავას-თაშამ გაუგზავნა მსამალეთის ინგლისელ ელჩს მუსურუ-თაშას დეპეშა, რომელიც იმას მარკიზ სალისბერისათვის უნდა გარდაეცა და რომელშიაც მოხ. ენებულია შემდეგი: მსამალეთის მმართველობა ჰხედავს საიდუმლო განზრახვლებას ინგლისის სამინისტროსას; ის გრძნობს, რომ ინგლისის მმართველობის მოთხოვნილების დაგვიანება იმის თაობაზედ, რომ მსამალეთმა მალე შემოიღოს რეფორმები, ცუდს მდგომარეობაში დააყენებს ბეკონსტილდის სამინისტროს პარლამენტის წინაშე. მსამალეთის მმართველობა მიიღებს მხედველობაში ინგლისის ახლანდელ სამინისტროს ამისთანა მდგომარეობას და ეცდება, რომ ამ მხრით ხელი მოუშაროს ტარიის სამინისტროს, რადგან ამ სამინისტროს არსებობა დიდად სასარგებლოა თვით მსამალეთისათვისაც. მსამალეთის მინისტრების უკანასკნელს სხდომაზე გადაწყდა, რომ დააკმაყოფილონ ინგლისის მოთხოვნილება, შემოიღონ მთელ მსამალეთში რეფორმები და ხელ-ახლად გამოსცენ ძველი ხატები, 1849 წლის ხატტი-შერიფ-მიულანე, 1859 წლის ხატტი-გუმაიუნი და 1876 წ. ის კონსტიტუცია. ეს ახალი რეფორმების შემოღება ამ დღეებში იქნება გამოცხადებული.

კაპიტაბურლის ბირჟა, 2 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)	
ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემის	— 94—50
მეორე — — —	— 93—25
მესამესი — — —	— 93—50
მეოთხესი — — —	— 93—25
აღმოსავლეთის პირ.	— 90—62
აღმოსავლეთის მეორე	— 90—62
აღმოსავლეთის, მესამე	— — —
მქრო, 1/2 იმპერიალი	— 7—83
გირაოს ფურცელი	— — —
შინაგანი 5% სესხის ბილეთები	— — —

პირველი სესხის — — 230 — „  
მეორე სესხის — — 224 — „

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — — —	25—18	პენსი
ბამბურლი — — —	216—50	ცენტი
პარიჟი — — —	268 —	სანტიმი
მენა — — —	129 —	პჭენიგი
ბაგასიის კერასინი — — —	— — —	

## საქართველო

გახიკრებულ მურდობაზედ

ცუდ-მოსავლიანი წელიწადი გვაქვს; ამდენი ხანი როგორც იყო ღარიბი ხალხი იოლად გამოდიოდა; მაგრამ ახლა ზამთარი დგება თავის შიმშილსიცივითა და გაისმის ქურდობისა და ცირცვა-გლეჯის ხმა.

ეს ყოველთვის ასეა: თუ კარგი მოსავალია, თუ ხალხს ცხოვრება არ უჭირს, ათასში ერთხელ გაიგონებთ ქურდობა-აგვაჯაკობის ამბავს. პირ-იქით, რამდენათაც უფრო მოუსავლიანი წელიწადია, რამდენათაც უფრო უჭირს ხალხს ლუკმა-პურის, საცმელ-სახურავის შოვნა, იმდენათ უფრო ხშირად გაიგონებთ ხან ერთის და ხან მეორის მხრიდან, რომ აქ კაცი გაქურდესო, იქ ცხენი ან ხარკამბეჩი მოიტაცესო, ამა-და-ამ ქუჩაზე მალაზია გასტეხესო, იმ სოფელში მთელი ოჯახი აიკლესო, ეს კაცი მოჰკლესო და სხვ.

მართალია, იყო დრო, როდესაც ჩვენი ქვეყნის ყველა მხარეებში ეს კანონი არ მოქმედებდა, როდესაც იყვნენ იმისთანა პირები, რომელთაც გაჭირება არ აიძულებდა ქურდობას, აგვაჯაკობასა და საზოგადოთ ცუდ-კაცობას. იყო დრო, როდესაც სამეგრელოში, მაგალითად, სამურზაყანოში და აფხაზეთში საქებურად, საკვეწენლად მიაჩნდათ კარგი, ოსტატური ქურდობა, როდესაც ზაბუნ, უხეირო კაცად მიაჩნდათ ის კაცი, რომელსაც თავის დღეში არა მოეპარა-რა. იმდროს თავადებიც კი ეწყობოდნენ ამ ხელობას და ეწყობოდნენ უფრო ხშირად, ვინემ ღარიბი და გაჭირებული გლეხ-კაცები.

ეს რაინდული დრო წავიდა. მურდობა და აგვაჯაკობა საქებ საქმედ ახლა აღარავის აღარ მიაჩნია.





მაგიერად, კიდევ არიან ჩვენში იმის-თანა პირები, რომელთაც სხვა უფრო პატიოსან ხელობით შეუძლიანთ ცხოვრების საშუალების მოპოება, მაგრამ ამის ნაცვლად ქურდობისა და ცუდ-კაცობისათვის მოუყიდნიან ხელი, რადგან ეს უფრო ადვილ და უშრომელ საქმედ მიიჩნიათ. მაენი არიან წერილი ახნაურიშვილობა, ნასწავლ-უსწავლელნი, ნათრევ-ნამსახურნი, რომელთაც შრომა ეთაკილებათ, რომელნიც ყანაში მუშაობას არ ჰკადრებულენ და ავაზაკობით პოულობენ ლუკმა-პურს.

ამგვარი პირებისათვის, რომელთაც მიწა-წყალიც გაარჩნიათ და ჯანიც აქვთ, რომ იმუშაონ, მაგრამ კი არ კადრებულენ მუშაობას, ვამბობთ, ამ გვარი პირებისათვის იმ „ხევის-თავების“ დაწესებას, რომელზედაც ამას წინათ ჩვენ ვაწვებთ (№ 224) იყო რამდენიმე სიტყვა ნათქვამი, უმჯეელია, დიდი მნიშვნელობა ექმნება.

ამ ახალი დაწესებულების ძალით, მთელი სოფელი ამოირჩევეს სანდო კაცს ხევის-თავად და ყველა ვალდებულია, რითაც შეუძლიან, დაეხმაროს იმას, თუ ვინცობაა სოფელში რამე დაიკარგა; და თუ ოთხის თვის განმავლობაში დაკარგული ნივთი ანუ საქონელი ვერ იპოვნეს, ამ შემთხვევაში მთელი სოფელი აგებს პასუხს დაკარგულზე, და პოლიცია მცხოვრებლებში მოაგროვებს დაკარგულის ფასს და უხლავს დამკარგველს. ეს პირობა, რაღა თქმა უნდა, გააფრთხილებს ყველა მცხოვრებლებს: ისინი გაუფრთხილდებიან არათუ მართო თავის ქონებას, არამედ სხვისასაც, რადგან იმ სხვას, იმის მეზობელს, თუ რამე დაეკარგა და აღარ ამოჩნდა, თვითონ ისიც პასუხს აგებს.

ეს მეორედ არის „ხევის-თავების“ შემოღება ჩვენში; პირველად ამ ოცის წლის წინათ იყენენ აგრეთვე ყველგან იმერეთში ხევის-თავები დანიშნულნი საკუთრივ ქურდობის საწინააღმდეგოდ. მაგრამ მაშინ, როგორც ვაგვიგია, პირველი ქურდები და გამტყავებლები ხალხისა თვითონ ეს ხევის-თავები ვახდენენ თურმე; ამათ თავიანთ მფარველობის ქვეშ ჰყავდათ ქურდები და ყოველი დაკარგული ნივთისა და საქონლიდამ სარგებლობა ჰქონდათ. ამის გამოც ეს ხევის-თაობა მალე გადაადგეს.

საფრთხილოა, რომ ახლაც ასე არ მოხდეს, ასე არ იბოროტ-მოქმედონ თავის თანამდებობით ხევის-თავებმა. ამისათვის საჭიროა, ჩვენის აზრით, რომ სხვებზე უფრო მომეტებულად იმათ ავონ პასუხი, თუ ვინცობაა საქონელი ანუ სხვა რამე დაიკარგა სოფელში. უმჯეელია, რომ ამ თანამდებობისათვის იმათ ჯამაგირი ან სხვა რამე ჯილდო და უპარატესობა ექმნება სოფლისაგან; მაშა სადამე რიგია, რომ პასუხის-გებაც ჰქონდესთ.

ყოველ შემთხვევაში, თუ ეს ხევის-თავები ყველა უფლებში შემოიღეს, თუ იმათ მოქმედებას ერთის მხრით თვითონ სოფელმა და მეორეს მხრით აღმი-

ნისტრაციამ მოაქცია ყურადღება და სასტიკად აღვენა თვალ-ყური, უმჯეელია, ეს ღონის-ძიება ცოტა არ იყოს დროებით მაინც დააფრთხობს ჩვენებურ ქურდავებაებსა და ცოტაც არის შეამცირებს ასე ვახშირებულ ქურდობასა და ავაზაკობას.

ს. მ.

### დღიური

\* \* \* ბუშინწინდელ მთელისის რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია წესდება ანუ პირობა ახალი „ბანკირის სახლისა“, რომელიც იმართება ჩვენს ქალაქში თ. ა. წ. ჩოლაყაშვილის თაოსნობით.

ამას წინათაც ვსთქვით ჩვენ, რომ ეს ბანკის კანტორები სოკოსავით იბადება ჩვენს ქალაქში. მაგრამ, რამდენათაც ჩვენ ამ ახალ „ბანკირის სახლს“ დამწესებელს ვიცნობთ და რამდენათაც იმის წესდებიდამ შეიძლება კაცმა შეიტყოს, ეს კანტორა ყველა სხვებზე უფრო უკეთესის საფუძვლით არის დაარსებული და ყველაზე უფრო სინიღისიანად წაიყვანს ის თვის საქმეს.

უფ. ჩოლაყაშვილს თათქმის ყოველგვარი ბანკის ოპერაციები შეუერთებია ერთად: იმას, თავის წესდების ძალით, შეუძლიან საეჭრო ბანკის ოპერაციებიც, ურთი-ერთ შორის კრედიტის ბანკისაც და სადგილ-მამულო ბანკისაც; ამას გარდა ის კისრულობს კიდევ ლომბარდის ოპერაციებს (სესხის აღება მოძრავი ნივთების გირაოებით) და აღებ მიცემობის საქმესაც.

რასაკვირველია, უფ. ჩოლაყაშვილის ამხანაგობამ იმდენი თანხა და ღონის-ძიება იქნება ვერ მოიპოვოს ამთავითვე, რომ ახლოვე შეუღვეს ყველა ამ ოპერაციების შესრულებასა; მაგრამ რა ოპერაციასაც კი მოჰქიდებს ხელს, ვიმეორებთ, რამდენათაც ამ საქმის დაწყებას ვიცნობთ, ის პატიოსნად, მარჯვეთა და მოხერხებით შეასრულებს; სხვებივით არ მოინდომებს ის, რომ ოღონდ თავის ამხანაგობა გაამდიდროს და თუნდა ქვეყანა დაიქცესო.

ამას გარდა თვითონ ამ ამხანაგობის პირობაც ისეთია, რომ მოთავეს მაინცად-მაინც ყოველის-შემძლებელი უფლება არ აქვს მინიჭებული; იმას ჰყავს დანარჩენ ამხანაგობისაგან ამოჩეული ზედამხედავი კომიტეტი, რომელიც ყოველ იმის ნაბიჯს კონტროლის უშვრება და ყოველი იმის უკანონო, ანუ ამხანაგობის მახარალებელი მოქმედება და განკარგულება უნდა შეაჩეროს.

მაგრამ ამ ამხანაგობაზე და იმის პირობებზე ჩვენ შემდეგში უფრო დავწვრილებით მოვილაპარაკებთ.

\* \* \* ხვალ, ორშაბათს, ჩვენი ქალაქის რჩევეს, სხვათა შორის, შემდეგ უფრო საყურადღებო საგნებზე ექნება სჯა:

შპრავის მოხსენება ქალაქის ასენიზაციის თაობაზე;

შპრავის მოხსენება საქალაქო სახლის გადაკეთების შესახებ საპიორის ქუჩაზე;

შპრავის მოხსენება საქალაქო სახლის დადგენის შესახებ;

შპრავისა სავაჭრო მოწმობის მიცემის შესახებ;

აზრი ხმოვანის უფ. ნიკოლაძისა იმაზე, რომ ქალაქმა იშუმიდგომლოს მთელისის აბანოებისა და იმ მიწის შეძენის თაობაზე, რომელიც საჭირო იქნება მკვების მადენიდან აბანოებამდინ ფართო ქუჩის გასაყვანად;

აზრი ხმ. უფ. მევანულოვისა ხელმეორედ უძრავი ქონების დაფარების თაობაზე და სხვ.

\* \* \* ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში უფ. ივ. ქალატოზისაგან მეორედ გამოცემული პოემა, სახელად „მთერიანი“ — მოთხრობა აბესალომ და მთერისა უფ. ი. ძლიოზისაგან ლექსად თქმული. წიგნი გვარიანად, ლამაზად არის დაბეჭდილი უფ. მიხეილსონის სტამბაში. მასი ერთი აბაზია.

\* \* \* ზორის უფედის სოფ. ცინვალი-დამ გვწერენ, რომ ამ დღეებში იქ მისულა უფ. უფედის უფროსი თავის თანამემწით და რადგან აქეთვე ამ უკანასკნელ დროს ერთობ ვახშირდა ქურდობა და ავაზაკობა, ამის გამო სოფელს წინადადება მისცაო, რომ ვიხედაც ხალხს ეჭვი აქვს, წარმოადგინონ და იახოვნ იმათი გარდასახლება საზოგადო განჩინებითაო. სოფელს მართლაც სამის კაცის თაობაზე შეუღვენია განჩინება, დაუჭირავთ ესენი და შეკრული გაუჯანყონ იათ ზორის სატუსაღოში. ვ. ძორისგან-დენტი გვარწმუნებს, რომ ისაც იმათზე უფრო მომეტებული ცუდ-კაცობა მიუძღვის, ისინი კიდევ დარჩნენო და ამის გამო ჩვენი მხარე ასე ადვილად ვერ მოიხვეწებო.


### „დროშის“ კორმსკონდენცია

ოზურგაში, 30 ოქტომბერს. მართს აქაურ გლეხს (მენაბდეს) ჰყავდა ცოლად მისივე მახლობელი მეზობლის ქალი (ღლონტის). რაღაცა მიზეზისგამო ცოლს ქმარ შუა სიძულვილი ჩამოვარდა. ქალმა მით უშველა თავს; რომ რაც რამ გაჩნდა ოჯახში, ქმრის, თუ თავისი, სულყველა ერთ დამეს, როდესაც ქმარი შინ არ იყო, გაუყენა თავის ღელის სახლისაკენ და თითონაც წავიდა.

როდესაც მოვიდა ქმარი, ნახა, რომ არც იყო სახლში ქალი და არც სხვა რამე. მაიქცა მაშინვე სიღედრთან; ნახა, რომ მისი ცოლი იქ არის; სთხოვა წაჰყოლოდა შინ, მაგრამ ქალმა ყური არ უგდო. დაბრუნდა ქმარი შინსაკენ.

შემდეგ რამდენჯერმე სთხოვა მოციქულის პირითა, თუ თვითონ, მაგრამ ვერაფერი გაარიგა. ამისგამო შემდეგ კი ძალას დაადგა: წავიდა სიღედრთან, მივიდა თუ, არა ცოლი იკითხა; მაგრამ ცოლი სადღაც წასულიყო. სიძემ ნება-





ყოფლობით სთხოვა, რომ მისი ჯვარ-  
დაწერილი ქალი გაეტანებოდა; სიღვრეში  
უარი განუცხადა. სიძეს ბევრი თავი  
აღარ შეუწყუხებია: ამოიღო და მბაჩა და  
შიგ გულში მიარტყა და მერნე ხანჯლით  
დაჩეხა. მთხ დღეს ძლივს იცოცხლა,  
26-ს ოქტომბერს მიიცივალა.

დამნაშავემ თავის ნებით გამოაცხადა  
პოლიციაში თვისი დანაშაულობა. ის  
დაიჭირეს და სატუსალოში ჩასვეს.

ამ საქმეზედ არის დანიშნული გა-  
მოძიება. ამბობენ, რომ მგორე დამბა-  
ჩაც ჰქონდა ტყვიით გატენილი, თუ  
ცოლი დახედნოდა შინ, იმასაც მოკ-  
ლავედა უსათუოთო.

საზოგადოთ, უნდა მოგახსენოთ, რომ  
ამ ჩვენ პატარა მახრაში ძრიელ განზი-  
რებულთა ამ ქამად მცარცველობა; ვერ  
შეგიძლიათ მართლთ ერთს მგზავრობა;  
თუ კარგი სალალი (იარალი) დაგინახეს,  
ის არის იმათი საქმე: ჯერ შორიდან  
მოგისაქმებენ ტყვიით და მერმე, თუ კი  
რამ გაგანია, ან იარალი, ან ფული,  
ყველაფერს წაიღებენ.

ამასწინეთ შეკვეთილიდგან მომავალ  
მეურმეებს დახედენენ გზაში, რაც რამ  
გაანდათ საწყობებს, ყველაფერი წარ-  
თვეს და ძლივს ცოცხლები მოვიდნენ  
მსურვეთში; პოლიციაში გამოაცხადეს,  
მაგრამ, ვინ არის პატრონი და ყურის  
მგდებელი. ამისთანა სხვაც ბევრი მოხ-  
ვედა ამ მოკლე ხანებში.

ძალისტრატე ხელაძე

**წერილი რედაქტორთან**

უფ. რედაქტორო! რა კი კაცი გაჩე-  
ნილა ქვეყანაზედ, რა კი იმას დაუწყია  
გამრავლება, იმ წამსვე კაცობრიობა ორ  
ღიდ გუნდათ გაყოფილა. პირველ გუნდს,  
უმეტესს, შეადგენდა და შეადგენს მუშა;  
მეორეს კი ესრედ-წოდებულთ სხვა-და-  
სხვა წოდების კაცები. ძველადგანვე მუ-  
შა, მიუხედეველად იმისა, რომ დღე და  
ღამე განუწყვეტლად მუშაობს და არ-  
ჩენს მეორე გუნდის ხალხს, მაინც მად-  
ლობის ნაცვლად მიიღებს ხოლმე ჯილ-  
დოთ წყრომას, ლანძღვა-გინებას, სილა-  
რიბეს, გაჭირებას.

ღღესაც ვხედავთ მუშას თითქმის ისევე  
იმ უხედურ ყოფაში, რა ყოფაშიაც ის  
ყოფილა რამდენიმე საუკუნის წინ.

შორს რომ არ წავიდეთ მაგალითი-  
სათვის, შევით თუნდა ჩვენებურს ქარხ-  
ნებში და ფაბრიკებში და დარწმუნდებით  
ამ სიტყვის ჭეშმარიტებაში.

არც ერთმა ჩვენ გახეთების მკით-  
ხველმა არ იცის, თუ რა საძაგლობა  
ხდება ჩვენში მუშა-ხალხის შესახებ.

ჩვენში მუშა ხალხი ისეთი ნასწავლი  
არ არის, რომ რა უსამართლოებასაც  
უშვებდნენ, თვითონ გამოააშკარაონ,  
მხოლოდ აქა-იქ მოიძებნება ერთი-ორი  
კაცი, რომელთაც შეუძლიანთ გამოა-  
აშკარონ უწყობები; მაგრამ ამათაც  
ეშინათ ამისი, რადგანაც მხრის მიმ-  
ცემი არა ჰყავთ. იგივე ჯამაგირის მოჭრა,

იგივე უმიზეზოთ დათხოვა და იგივე  
უამართლობა სუფევს მუშისის ყველა  
ქარხნებში და ფაბრიკებზე. საჭიროა და  
მეტად საჭიროა, როგორც სხვა ქვეყნებ-  
ში შესდგებოდეს ჩვენშიაც „მუშის დამც-  
ველი საზოგადოება“, რომელსაც პირ-  
ველი მიზანი უნდა იყოს, მუშა ხალხის  
დაცვა ფულოანებისაგან და ყოველ და-  
ჭირებაში ხელის-მომართვა!

მა აზრი დაბადა ჩემს ტვინში ერთმა  
უბრალო, ჩვეულებრივმა გარემოებამ,  
რომელიც მოხდა ამას წინათ ერთს  
აქაურს სტამბაში:

ამ ათის დღის წინად უფ. მნფიაჯიან-  
ცის სტამბაში ერთი მუშა, რომელიც  
რამდენიმე წელიწადი აქ მუშაობდა,  
მივიდა სტამბის მმართველთან და სთხო-  
ვა სექტემბრის თვის ჯამაგირი, (ეს იყო  
თექვსმეტს ოქტომბერს). სტამბის მმართ-  
ველმა უთხრა: დაცა, ჯერ არა გვაქვს  
ფული და როცა ვიშოვნით, მაშინ მოგ-  
ცემთო. მუშამ უთხრა, რადგანაც იცო-  
და, რომ მმართველს ფული ქონდა და  
რადგანაც საჭიროებდა: მე ვიცი თქვენ  
ფული გაქვს და მომეცითო. ამხედ  
შესწყრა უფ. მმართველი და უთხრა  
წყრომით: „ხედავ დილით მოდი და ან-  
გარიში მიიღეო, არ მიინდინარ აქ იმუ-  
შეოო“. რას იქმობა საწყალი მუშა?  
უთხრა: კარგიო; მაგრამ ვინ იცის—ამ  
სიტყვის თქმის დროს რა ცეცხლი იძ-  
როდა იმის გულში. მივიდა მეორე დი-  
ლას და კვლავ უთხრეს: საღამოს მო-  
დიო, მივიდა საღამოს, სტამბის მმართ-  
ველი საღამაც სოფელში წასულიყო და  
მუშა დარჩა ანგარიშ გაუწყნდლად;  
მხოლოდ ერთის კვირის შემდეგ მიიღო  
სექტემბრის ჯამაგირის ანგარიში, ხოლო  
დანარჩენის თექვსმეტის დღისა, რომე-  
ლიც ოქტომბერში იმუშავა, არ მისცეს.  
მუშა წავიდა თვით უფ. მნფიაჯიანთან,  
რომელმაც უთხრა: უპრაველია უსი მოვა,  
იმან იცისო, მე არაფერი ვიციო. შემდეგ  
მივიდა უფ. ექიმ როტინოვთან, მნფია-  
ჯიანცის სტამბის მოზარესთან; ამათაც  
არ დააკმაყოფილა იმის თხოვნა.

მეტი რა ჩარა იყო, უნდა დავცაღნა  
უფ. მმართველის მოსვლისთვის. ისიც  
მოვიდე ერთი კვირის შემდეგ; მაგრამ  
ამან მისცა მხოლოდ იმ თექვსმეტის  
დღის ჯამაგირი დიდის ვაი-ვაგლანის  
შემდეგ; ღამის ნამუშევარი კი რამდენი-  
მე მანეთი არ მისცა.

ამ გვარად მოექცევიან ხოლმე არა  
თუ მართლ ამ მუშას, არამედ სხვებსაც  
ბევრს.

მგონია, ამგვარი უიმედო მდგომარე-  
ობა ჩვენებური მუშებისა საზოგადო  
ყურადღების ღირსია...

მაყურებელი.

**საბაასო**

**პირველი და უკანასკნელი პასუხი  
უ. ეპთიმი ხელაძეს.**

„დროების“ 120 და 121 №-ში და-  
ბეჭდილია უ. ე. ხელაძის პასუხი ჩემი

წერილის შესახებ, რომელშიც მწიფე და-  
ბეჭდილი იმავე გახეთის 123 №-შია.

შეგლაზე წინ თავის პასუხში უფ. ე. ე.  
ხელაძე სწერს რომ, ჩემზედ წერილის  
დაწერისათვის იცხებ ხელაძეზედ სულში  
საჩივარი განვაცხადე და საქმეც კარგათ  
მიდიოდაო, მაგრამ რამოდენიმე საპატიო  
კაცების თხოვნით მოვსპეო.

არ ვიცი ვინ სთხოვა იმას ჩემმაგერ  
საჩივრის მოსპობა, და რატომ არ გა-  
ნაგრძელო...

უფ. ე. ხელაძე მაძლევს კითხვებს  
ჩემს დაწერილს სიტყვებზედ: „რისთვის  
მიწოდე ძარბეცაო, რითი მაქვს ჩოთქი  
გაცვეთილიო, მისხლობით ჰურს ვის  
წონო?“

ნუ თუ ეს სიტყვები არ მიეწერება  
ისეთს კაცს, რომელიც სამს სულს მუშა  
ხალხს ფულად ცხრა კაპიკს გაუფხავინს  
ამითი ივანშემთო? მკონია, ეს მისხლობით  
კი არა უნცობითაც აწონილი დარჩეს,  
რადგან ვხლა გირვანქა ჰური ნ კაპ.  
არის.

„როდის გიანგარიშე მუნუტებოო“.  
ჩემთვის რა უნდა გეანგარიშნა, მე დღითაც  
და ღამითაც შენთვის ვმუშაობდი; მაგ-  
რამ ჰკითხეთ უ. სანდრო ლ—ძეს, რო-  
მელიც მნფიაჯიანცის სტამბიდან გად-  
მოიყვანეთ, თუ რის მიზეზით გავიდა  
თქვენით და შეიტყობთ, ანგარიშობთ  
თუ არა.

თქვენ მკითხავთ, თუ გურულებს ვა-  
მუშავებდი სტამბაში, ამდენი ქართველე-  
ბი სად მუშაობდით (მოგყავს სია ხუ-  
თამდე), მართალია, ამათ თითოეულად  
უმუშავეთათ თქვენს სტამბაში და ერთად  
კი არავის უნახავს.

ამბობთ, ვითომც მე ცილს გწამებდე,  
ბურიდგან მოტყუილებით ხალხის ჩამოყ-  
ვანაზე და ვკითხვით უ. რედაქტორს:  
„რად მიინდა ხალხი სტამბაშიო,  
ექვს თვეს წომ ვერასგაკეთებს ზარალის  
შეტსაო და სხვა. მარამ უფ. რედაქტორმა  
კარგათ იცის, თუ რამდენ თვეს იქნება  
ნიჭიერი შაგირდი სტამბისათვის სასარ-  
გებლო; უფრო გამოცდილი მესტამბი-  
სათვის უნდა მიგეცა ეს კითხვა, რომე-  
ლიც, უეტველია, გეტყოდათ, რომ სამს  
თვეს უკან ყოველთვის სარგებლობის  
მოტანა შეუძლიათ.

ამას გარდა ამბობთ, მე რომ ჩამო-  
ველი, ვითომ შენ ჩემთვის სამასწავლე-  
ბლო სემინარიაში შესვლა გერჩიოს და  
შემწყობას დამპირებოდე, რომელზედაც  
მე უარი მეთქვას. მე არის მხოლოდ  
ფარისველული სიტყვები უფ. ე. ხელა-  
ძისა. არათუ მე მისი მკვიდრი ძმისწუ-  
ლებისათვის არ უზრუნავს, რომელიც  
აქ ჩამოიყვანა, რამდენიმე წლის განმავ-  
ლი ბაში მუქთად იმსახურა და ამ წლის  
ივლისის თვეში უნუგემოდ გაისტუმრა,  
რომელზედაც პირველს ჩემს წერილში  
არაფერი ყოფილა ნათქმი. ჩემთვის სე-  
მინარიაში შესვლა კი არა, მიჩივთ  
სტამბაში დადგომა და მაშინვე დაით-  
ხოვე ჩემი წინამორადგილე და სხვ. და  
სხვ. თქვენი სიტყვიერი პირობის ძალით  
გემსახურებოდით.

რომ ამბობთ, პირველ წელიწადში



# განცხადებანი

ქართული

კავკასიის მედიცინის საზოგადოება  
 ება აცხადებს, რომ ტინი სოვეტნიკის  
 ე. რ. გომბოატის სახელობაზედ ქა-  
 ლების მ ნაზაში დანიშნული სტიპენ-  
 დია ამ ჟამად თავისუფალია, დაუ-  
 ქრელია და ვისაც ამ სტიპენდიის მი-  
 ლება ჰქვას, შეუძლიან მიმართოს ხსენ-  
 იებული საზოგადოების სეკრეტარს უფ.  
 ნ. ნ. შუკოვს. (ბალონიაში, სახლის  
 № 145). (5-5)

ექვსი თუმანი ჯამაგირი მოგეცით და  
 სამი თუმანი გაჩუქეთ, მეორე წელში  
 თორმეტი თუმანი დაგინიშნე და ოთხი  
 თუმანიც გაჩუქეთ, ამანდ გათხავ უ.  
 უხვო და მოწყალეო, როდის იყო თქვენ  
 რომ ჯამაგირზე მეტი ფული მაჩუქეთ  
 ან ერთი გროში და მოიგონეთ ილიც  
 წამართვით თუ არა მეტი ღამე ნამუ  
 შეღარი 9 მანეთი?

ერთ ადგილას ამბობს, ვითომც მე  
 რომ „ღროებისათვის“ ასოხ-ამწყობი  
 გარდავიყვანე და ავით გახდა; ვითომც  
 შენ გაგვეზავნოს თფილისის საავთმყოფოში  
 და ფულიც გაგეტანებინოს. ე  
 ხომ არ არის მართალი. ნამდვილი ის  
 არის, რომ სულ ღმირი რი ძალადის ფუ-  
 ლი და ხარჯა და იმანვე წაიყვანა სა-  
 ავთმყოფოში. ამას გარდა თქვენ ძლიერ  
 სწუხდებით, „ბევრი სათქმელი მქონდა  
 და ვერ ვსთქვიო, ზოგი შენს ყოფა-  
 ქცევაზე და ზოგი რა საარგებლობას მაძ-  
 ლევდნენ შაგირდებო, მაგრამ წერა ვერ  
 შევსდელიო“. არ ვიცი რამ დაგიშალა,  
 დაწერდით და თუ თქვენ შეგეზნართ  
 სხვას ვისმე მაინც დააწერინებდით  
 და ამდენ სხვებთან იმასაც მიუმა-  
 ტებდით, რა იქნებოდა. უფალი მქე-  
 თიმე ხელაძე დასძინებს თავის პა-  
 სუხში, რომ „ვისაც ჩემთან გული  
 სტკივა ჯამაგირისა და ანგარიშის მიცე-  
 მაზეო, ესთხოვე ჩემს სტამბაში მოვიდ-  
 ნენ და გამომიცხადონო“. აბა, მივიდ-  
 ნება ეს სთქვას და მართალია თუ  
 არა, ჩემთან მოდით და ჩუმად მოთხა-  
 რითო“. სიმართლის მქონე კაცს შე-  
 უძლია თამამად სთქვას, გთხოვთ საზო-  
 გადოთ გამოაცხადოთო და სხე.

მხლა გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება  
 იმას რომ, თუ უფ. მქ. ხელაძე კარგი  
 პატრონი არის სტამბისა და მუშებს  
 კარვით ეპყრობა, რისთვის ერთი მისი  
 შაგირდთაგანი გასული წლებისა არა ჰყავს  
 მუშათ სტამბაში? რა არის მეზენი, რომ  
 ვილაც სომხის, ფრანგის და რუსის

სტამბებში მუშაობენ პირველად მასთან  
 ძალადი ხალხი, იმ დროს, როცა მას  
 სტამბა მუშა?

ნუთუ ერთი ჩვენგანი მაინც არ  
 დარჩა მასთან პატრონისა და მისთვის  
 სასარგებლო?

იხსებ ხელ.ძე.

## ქალაქის გაგებობისაგან

თფილისის ქალაქის გაგებობა ამით აცხადებს, რომ, რადგან ამ 1 ნოემბერს  
 იწყება ვადა მომავალი 1880 წლის ვაქრობის უფლებებისათვის გილდიის და სხვა  
 მოწმობის ფულის შემოტანისა ქალაქის ხაზინაში, ამის გამო მოიწვევს ყველას,  
 ვისაც რამე ვაქრობა, ანუ ხელობა და ანუ წარმოება აქვს დაუჩქარონ უპრაფაში  
 წარმოდგენა, ქალაქის სასარგებლოდ, დანიშნულის გარდასახადისა და ამასთანავე  
 მიღება ჯეროვან მოწმობებისა და ბილეთის აღება; უპრაფა სთხოვს შემოხსენებულ  
 აქრებს, რომ ნუ უცდიან ამ ფულის შემოსატანად წლის გათავებას და უკანასკ-  
 ნელ ვადას, რადგან იმ დროს ერთობ ბევრი გროვდებიან ერთად და თავის დროზე  
 მოწმობის მიღებას დაბრკოლება მიეცემა. (5-2)

## გიბლიობრაფიული ცნობა

პირველ-დასაწყისი კუსის რუსულის მისა ქართველთათვის, შედგენილი  
 ბ. ძალანდარიშვილისაგან, მეექვსე გამოცემა გადასწორებული და დამატებუ-  
 ლი ი. ბოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა და ისყიდება ბრიტუროვის წიგნის მა-  
 ლაზიაში ძოკის ხიდთან. შასი ეგზემპლიარისა ათი შაური. მაგრამ ვინც  
 ოცს ეგზემპლიარს ერთად იყიდის ნაღდს ფულზედ, იმას წიგნი დაეთმობა  
 ცხარა შაურათ, ხოლო ვინც ორმოც-და-ათზე მომეტებულს წაიღებს ერ-  
 თათ ნაღდსავე ფულზედ, მას ეგზემპლიარი მიეცემა ორ აბაზათ. (15-7)

რბ. მზა.	ლილა.	სალამ.	II კ.		III კ.		ტელეგრაფი	მან კაპ	მაზანდა	თფილისის სამკურნალო.	
			მ.	კაპ.	მ.	კაპ.				მან	კაპ
თფილისი	9 21	5 17	8	კაპ.	მ.	კაპ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან		თფილისი 27 ოქტომბ.		მრეწ. მეიღ., წინამძღვაროვ. სახლი.
მცხეთა	10 11	6 27	85	-	44		კავკასიის აქეთა მხრის ყველა		შქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2 55	დღე დილის 8 საათიდან 10-დინ.
ზორი	11 58	9 43	3		1 53		ქალაქებში	2	ქვ. წითელი	2 20	მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. : ლისიცივი და
ხ. შური	1 29	11 57	4 73		2 42		რ. სტოვს, მ. დესას, მოსკოვს,	2	ქერ ფუთი	1 40	მარალევიჩი—შინაგ. ავთმყოფობის.
სურამი	1 44		4 90		2 61		პეტერბურღს, მარშავა	2	ბამბა მრეწვისა, ფუთი.	8 65	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. : მერმიშვიეი შინაგ.
შვირილა	5 49		7 21		3 69		მსმალეაში, შვეიცარიაში	3	— პმერიკისა, ფოთს	9 30	ავთმყოფ.; რეიხი—თვადის, შურაფ-
რონი	6 57		8 44		4 31		იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბანტალი ბამბა ფუთი.	11 70	ლევი—ვენერიულის, და კანისა; ბა-
სამტრედია	7 51		9 66		4 93		ინგლისში	3 75	მატყული თუშური ფუთი.	8 20	ბოვი—გულისა და შინაგ.
ახალ-სენაკი	8 43		10 71		5 47		ფოჩტა		— თარაქამ-სა ფუთი	3 70	მ. თ. ხ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. : ლისიცივი—ში-
ფოთი	9 50		11 24		6 26		ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთისს, რუსეთს—ოველ		აბრეშუმ ნუხური სტ.	2 10	ნაგ, ასტუა-ცატუროვი—ქალისა და
შოთი	9 3						დღე კერს გარდა. ზუგდ. ორშ. და		ძონი ფუთი	5 80	ბავშვების ავთმყ.
ახალ-სენაკი	10 14		1 53		7 8		ხუთშ. მ. შურ.—პარასკ. და ორშ. პა-		ძონის სანთელი ფუთი.	7 60	ხუთ შ. ა. ბ. ა. თ. ს. : მერმიშვიეი—ში-
სამტრედია	11 5		2 61		1 33		ხეთს—საშ. და შაბ. ბ) მუთაი-		სტეფანის სანთელი ფ.	11 65	ნაგ. ავთთმყ. და შურაფლევი—კანის
რონი	12 13		3 84		1 97		ილამ: თფილისისა და შოთისაკენ—		ხორცი ძოხისა დიტრა		და ვენერიულის.
შვირილა	1 18	ღამე.	5 3		2 56		ყოველ დღე კერას გარდა. მ. შურ-		— ცხერისა, ლიტრა		პარასკევეს იქნებიან: ლისი-
სურამი	5 12		110 734		3 74		გეთს—ოშ. და პარასკ.		სპირტი ვედრო	4 50	ცივი, შინაგ.; ასტუა-ცატუროვი—ფ-
ხ. შური	5 39		1 37 751		3 84		წიგნის გაგზენა რუსეთში	კაპ	შაქარი ბროც. ფუთ	7 25	ნერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და
ზორი	7 5		4 8 924		4 73		და სამზღვარ გარეთ:		— ფხენილი ფუთი	5 70	შინაგ. ავთმყოფ.
მცხეთა	8 50		6 59 139		5 82		ლა წიგნის		შავა რგვალი გრვ.	6 5	შ. ა. ბ. ა. თ. ს. : მერმიშვიეი, შინაგ.; შურ-
თფილისი	9 31		7 5 6 124		6 26		დაბეჭდვლის (სამი მ. ს. ს. ლა)	7	ზეთი ქუჩულისა ფუთი.	14	ავლევი.—ვენერ. და კანის რეიხი—
									თამბაქო საშუალო ფუთ.	6 70	თვადის.